



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამდიბლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი

წევრები:

ია ლლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;

ვლადიმერ ბერუაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

თეონა ბერიკაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწესებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226157529

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი
ფაქტობრივი მისამართი	ბორჯომი, სოფელი ციხისჯვარი
საფოსტო ინდექსი	1200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი	https://shorturl.at/0ibi5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელფოსტა	tsikhisjvari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 30 23 83

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 13 ივნისის ბრძანება MES 7 24 0000660833
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05.08.2024 – 06.08.2024

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობანაგებობების რაოდენობის მითითებით)
	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ციხისჯვარი, ერთი შენობა



	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელი ციხისჯვარი, ერთი შენობა
--	---	-----------------	---------	---

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2024 წლის 5 და 6 აგვისტოს სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვარის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ნინო ბეგლარაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრები:

- ია ლლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
- ვლადიმერ ბერუაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- ბესიკი ბერიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- თეონა ბერიკაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- მაია მენაბდე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
- ქეთევან ბორაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;

- ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ დამატებით იქნა გამოთხოვილი გარკვეული დოკუმენტაცია.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და თავმჯდომარე გაესაუბრენ სკოლის დირექტორს, ბუღალტერს და სკოლის სხვა წარმომადგენლებს. ვიზიტს ესწრებოდა რესურსცენტრის წარმომადგენელიც.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებელ დაწესებულების მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა	მიერ ზღვრული

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვრის საჯარო სკოლა გამოირჩევა თანამშრომლობითი ორგანიზაციური კულტურით, პროცესები იგეგმება და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორს ფუნქციები დელეგირებული აქვს და იყენებს მართვის დემოკრატიულ სტილს. მიუხედავად იმ გამოწვევებისა რომლებიც სკოლას აქვს (სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა არაქართულენოვანია, სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში და არის მცირეკონტიგენტიანი) სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მაღალი მზაობა, იზრუნონ სკოლის განვითარებაზე ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
		სკოლის ბალანსზე ირიცხება მხოლოდ 53 მერხი და სკამი.

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒
---------------------------------	---

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეფასდა სრულად შესაბამისად;
- საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხურის კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
--------------	------------------	--



ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.	სკოლას შეიმუშაოს და დაამტკიცოს მისია და ხედვა 2024 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.
ინდიკატორი N1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს.	სკოლამ ხედვაში განსაზღვროს ორგანიზაციის როლი უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნაში, 2024 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.
ინდიკატორი N1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოებისთვის დამტკიცებული მისიისა და ხედვის გაზიარება არაუგვიანეს 2024 წლის 20 ოქტომბრისა.
ინდიკატორი N1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.	სკოლამ უზრუნველყოს დამტკიცებული მისიისა და ხედვის საჯაროება არაუგვიანეს 2024 წლის 20 ოქტომბრისა.
ინდიკატორი N1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების კავშირი სკოლის დამტკიცებულ მისიასა და ხედვასთან არაუგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.



	შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	
ინდიკატორი N1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.	სკოლამ შეიმუშაოს სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სტრატეგიულ გეგმასა და ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით, არაუგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები და შესაბამისი რესურსები, არაუგვიანეს 2024 წლის 20 ნოემბრისა.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის შენობის ადაპტირება არაუგვიანეს 2025 წლის 29 აგვისტოსი.



ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსება არაუგვიანეს 2024 წლის 20 დეკემბრისა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხურის კურიკულუმი	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	სკოლამ უზრუნველყოს ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ცნებების, ქვეცნებებისა და კომპლექსური ხასიათის დავალებათა სათაურების დამატება შესაბამისობის გეგმის შესაბამისად.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N 3.2.1.1.	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.	სკოლამ შეიმუშაოს არამარტო მასწავლებლების, არამედ სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების სტრუქტურირებული სისტემა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება პერსონალის პროფესიული საჭიროებების დადგენა მათი პროფესიული გეგმის შემუშავება და განხორციელება.
ინდიკატორი N 3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.	სკოლამ შექმნას კონკრეტული ინსტრუმენტები ხარისხის ციკლის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპების განსახორციელებლად.
ინდიკატორი N 3.3.2.2.	უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.	სკოლამ აქტიურად გამოიყენოს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა მოტივირების სტრატეგიები, მათი სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით.
ინდიკატორი N 3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას.	სკოლამ აიყვანოს მონაცემთა დაცვის ოფიცრი, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
ინდიკატორი N 3.4.1.7.	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.	სკოლამ არქივში არსებული მონაცემების დაცვის მიზნით უზრუნველყოს არქივის ცალკე სივრცეში განთავსება ან კარადების აღჭურვა საკეტებით.



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	რჩევა: კარგი იქნება, თუ სკოლა შეიმუშავებს კურიკულუმის ერთიან დიზაინს, რომელიც მისაღები იქნება ყველა კათედრისთვის.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	რჩევა: სახელმწიფო ენის მეექვსე კლასის საგნობრივ კურიკულუმში პედაგოგებმა შეიტანონ კომპლექსური ხასიათის დავალებების სათაურები და იმ ცნებათა ჩამონათვალი, რომლებიც მუშავდება კონკრეტული კონტექსტ მაგალითებისა და დავალებების მეშვეობით.



ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	რჩევა: კარგი იქნება, თუ უცხოური ენის კურიკულუმებში, თითოეულ თემის ფარგლებში განსაზღვრული იქნება სავარაუდო საათობრივი დატვირთვა. რჩევა: სასურველია, შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	რჩევა: მათემატიკის კათედრის კურიკულუმში სასწავლო რესურსები გამრავალფეროვნდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	რჩევა: კარგი იქნება, თუ უცხოური ენის კურიკულუმების იმ ნაწილში, სადაც კომპლექსური დავალებებია მოცემული, გრაფაში, “მაგალითები შედარებისთვის”, მითითებული იქნება არა ერთი ნიმუში, არამედ მინიმუმ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალურად, შინაარსობრივად ან/და ხარისხობრივად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ შეადარონ ერთმანეთს ნიმუშები, მოარგონ ისინი თავიანთ საჭიროებებს და უკეთ გამოჩნდეს დიფერენცირება კურიკულუმებში, რაც ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნის აუცილებელი პირობაა. ასევე, რუსული ენის კურიკულუმებში, “მაგალითები შედარებისთვის” გრაფაში მოცემული გვერდები, რომლებიც არის არა კომპლექსური დავალების ნიმუშები, არამედ სასწავლო რესურსები, გადატანილ იქნას სასწავლო რესურსების ნაწილში.



		რჩევა: დიფერენცირებული მიდგომისთვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში განსახორციელებელი აქტივობების ველში დაემატოს, რა სახით უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ ცოდნა: შევთავაზოთ რამდენიმე ვარიანტი ეს იქნება ბუკლეტის მომზადება ან სლაიდ შოუს მომზადება, ვიდეო რგოლის მომზადება, ნახატის შესრულება თემატიკასთან დაკავშირებით ან გადაცემის მომზადება. მივცეთ მოსწავლეს საშუალება თვითონ აირჩიოს, რომელი სახით წარმოგვიდგენს დავალებას. რჩევა: უცხოურ ენებსა და საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში უმჯობესია ისე გეგმა იყოს სრულყოფილი, კონკრეტული და სსსმ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული.
--	--	---

ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რჩევა: სასურველია თუ ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრები მომავალი სასწავლო წლისთვის ცალკე შექმნიან შეფასების რუბრიკებს როგორც გამსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	რჩევა: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ შეფასების კრიტერიუმები გახადოს საჯარო და ყველასათვის ხელმოსაწვდომი. რჩევა: უმჯობესია საზოგადოებადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან.



ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	რჩევა: სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა და განხორციელება მიმდინარეობდეს აქტიურად, რითაც შეფასების სისტემა გახდება მეტად სანდო და ობიექტური.
ინდიკატორი N 2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.	რჩევა: კარგი იქნება, თუ სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სრულყოფილად ამოქმედდება და გაწერილი რეგულაციების შესაბამისად ექნება სისტემური ხასიათი.
ინდიკატორი N 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	რჩევა: სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინოს: 1.მასწავლებლის სწავლების სტილის შეფასება; 2.სასწავლო მეთოდების შეფასება; 3.სასწავლო მიზნებისა და სასწავლო პროცესის შესაბამისობის შეფასება; 4.სასწავლო მასალებისა და რესურსების შეფასება; 5. სასწავლო გარემოს შეფასება და სხვა ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებზე.
ინდიკატორი N 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	რჩევა: 2024-2025 სასწავლო წლის კურიკულუმი დაეფუძნოს განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	რჩევა

ინდიკატორი N 2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	რჩევა: კარგი იქნება, თუ სკოლა შეიმუშავებს კურიკულუმის ერთიან დოზაინს, რომელიც მისაღები იქნება ყველა კათედრისთვის.
ინდიკატორი N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	რჩევა: მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები უნდა იყოს კათედრაზე მსჯელობის შედეგად შემუშავებული და მიღებული. შესაბამისად საბაზო საფეხურის კურიკულუმები შედგენილი უნდა იყოს ერთიანი ხედვითა და საბოლოო ჯამში ემსახუროდეს საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	რჩევა: კარგი იქნება, თუ უცხოური ენის კურიკულუმებში, თითოეულ თემის ფარგლებში განსაზღვრული იქნება სავარაუდო საათობრივი დატვირთვაც ორივე საფეხურზე. რჩევა: სასურველია, შუალედური სასწავლო მიზნების შესაბამისად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის კურიკულუმებში წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი და მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტი.



ინდიკატორი N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	რჩევა: მათემატიკის კათედრის კურიკულუმში სასწავლო რესურსები გამრავალფეროვნდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს.	რჩევა: კარგი იქნება, თუ უცხოური ენის კურიკულუმების იმ ნაწილში, სადაც კომპლექსური დავალებებია მოცემული, გრაფაში, “მაგალითები შედარებისთვის”, მითითებული იქნება არა ერთი ნიმუში, არამედ მინიმუმ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალურად, შინაარსობრივად ან/და ხარისხობრივად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ შეადარონ ერთმანეთს ნიმუშები, მოარგონ ისინი თავიანთ საჭიროებებს და უკეთ გამოჩნდეს დიფერენცირება კურიკულუმებში, რაც ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნის აუცილებელი პირობაა. ასევე, რუსული ენის კურიკულუმებში, “მაგალითები შედარებისთვის” გრაფაში მოცემული გვერდები, რომლებიც არის არა კომპლექსური დავალების ნიმუშები, არამედ სასწავლო რესურსები, გადატანილ იქნას სასწავლო რესურსების ნაწილში. რჩევა: დიფერენცირებული მიდგომისთვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმში განსახორციელებელი აქტივობების ველში დაემატოს, რა სახით უნდა წარმოაჩინოს მოსწავლემ ცოდნა: შევთავაზოთ რამდენიმე ვარიანტი ეს იქნება ბუკლეტის მომზადება ან სლაიდ შოუს მომზადება, ვიდეო რგოლის მომზადება, ნახატის შესრულება თემატიკასთან დაკავშირებით ან გადაცემის მომზადება. მივცეთ მოსწავლეს საშუალება თვითონ აირჩიოს, რომელი სახით წარმოგვიდგენს დავალებას.



--	--	--

ინდიკატორი N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რჩევა: სასურველია თუ ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრები მომავალი სასწავლო წლისთვის ცალკე შექმნიან შეფასების რუბრიკებს როგორც გამსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებისთვის.
ინდიკატორი N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	რჩევა: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ შეფასების კრიტერიუმები გახადოს საჯარო და ყველასათვის ხელმოსაწვდომი. რჩევა: უმჯობესია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კომპლექსური დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მჭიდროდ იყოს დაკავშირებული საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებთან.
ინდიკატორი N 2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	რჩევა: სასურველია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა და განხორციელება მიმდინარეობდეს აქტიურად, რითაც შეფასების სისტემა გახდება მეტად სანდო და ობიექტური.

ინდიკატორი N 2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.	რჩევა: კარგი იქნება, თუ სკოლაში სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სრულყოფილად ამოქმედდება და გაწერილი რეგულაციების შესაბამისად ექნება სისტემური ხასიათი.
ინდიკატორი N 2.3.2.4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.	რჩევა: სასურველია, სკოლამ სასწავლო პროცესის შეფასებისას გაითვალისწინოს: 1.მასწავლებლის სწავლების სტილის შეფასება; 2.სასწავლო მეთოდების შეფასება; 3.სასწავლო მიზნებისა და სასწავლო პროცესის შესაბამისობის შეფასება; 4.სასწავლო მასალებისა და რესურსების შეფასება; 5. სასწავლო გარემოს შეფასება და სხვა ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესებზე.
ინდიკატორი N 2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	რჩევა: 2024-2025 სასწავლო წლის კურიკულუმი დაეფუძნოს განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ დადგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, კონკრეტული ვადების (არაუმეტეს 1 წლისა) მითითებით გაწერა შემდეგი პროცესების უზრუნველყოფის გეგმა შემდეგ საკითხებზე:

1. სკოლის მისიისა და ხედვის შემუშავება სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად;
2. სკოლის მიერ შემუშავებულ მისიასა და ხედვაში საკუთარი როლის განსაზღვრა;
3. სკოლის მისიითა და ხედვით სკოლის როლის განსაზღვრა, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურული სივრცის შექმნაში;
4. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების უზრუნველყოფა;
5. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
6. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც იქნება ციკლური და დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და რომელშიც გაწერილი იქნება მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები;
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
8. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები და შესაბამისი რესურსები;
9. სკოლის შენობის ადაპტირება;
10. სკოლის ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის განთავსება;

11. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმებში ცნებების, ქვეცნებებისა და კომპლექსური ხასიათის დავალებათა სათაურების დამატება;

ამასთან სკოლამ შესაბამისობის გეგმაშიც გაწერა და უკვე შეასრულა შემდეგი აქტივობები (წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებებიც შესაბამისობის გეგმასთან ერთად):

1. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება;
2. წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულების კორექტირება;
3. დაწყებით და საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკის კორექტირება ინგლისურ და რუსულ ენებში, კერძოდ, კრიტერიუმების დეტალური დაშლა ქულებრივ დიაპაზონად;
4. დაწყებითი და საბაზო საფეხურის უცხოური ენის კურიკულუმის კორექტირება, კერძოდ, სამიზნე ცნებების, საათობრივი დატვირთვის, თემის თავებისა და სახელმძღვანელოების გვერდების მითითება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობები პასუხობს მოკვლევის ეტაპზე გამოვლენილ ხარვეზებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, აღნიშნული საკითხები შეფასდეს მეტწილად დაკმაყოფილებულად და სკოლას მიეცა რეკომენდაციები შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებასთან დაკავშირებით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას თვითშეფასებაში წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ სკოლის მისია და შექმნილი ჰყავდა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე გეგმავდა სკოლის მისიის გადახედვას და ხედვის შემუშავებას. საავტორიზაციო ვიზიტისას აღნიშნულმა ჯგუფმა წარმოადგინა სკოლის ახალი მისიისა და სტრატეგიული გეგმის პროექტი. აღნიშნულ პროექტში არ იკითხება სკოლის ხედვა, თუმცა წარმოდგენილი მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რადგან მასში აქცენტირებულია კრიტიკულად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდა. მისია ფორმულირებულია მოკლედ, გასაგებად, მოიცავს ისეთ საკვანძო ორიენტირებს როგორებიცაა: უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, ხარისხიან განათლებას და ა.შ. თუმცა მისიაში

არ ჩანს ორგანიზაციის იდენტობა, თემის სპეციფიკა და გამოწვევები. მნიშვნელოვანია, სკოლამ ჩამოაყალიბოს ხედვა, რომელიც ასევე დაეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და რომლითაც განსაზღვრავს, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშავოს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც იმოქმედებს დაწესებულება. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.1.1.1-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული გეგმის პროექტში ვხვდებით SWOT ანალიზს, რომლითაც ჩანს, რომ სკოლამ შეისწავლა საკუთარი სასკოლო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოწვევები და შესაძლებლობები. განსაზღვრა პრიორიტეტული როლი გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე დაყრდნობით და სტრატეგიული განვითარების ფარგლებში დაგეგმილი გამოკითხვებით გამოკვეთა ქართული ენის გაძლიერებაზე ზრუნვა, ტექნოლოგიების განვითარება სწავლასწავლების პროცესში და არაფორმალური განათლების გაძლიერება. აღნიშნული აქცენტები არ იკითხება სკოლის მისიაში, თუმცა ჩანს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებში. სკოლის მისია აქცენტს აკეთებს მოსწავლეების განვითარებაზე ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით, თუმცა მნიშვნელოვანია მისიაშიც და ხედვაშიც მეტად გამოკვეთოს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოცოკულტურული სივრცის შექმნაში. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.1.1.2-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ დირექტორის ბრძანებით დაამტკიცა ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება სკოლის ფილოსოფიის შემუშავება, ხოლო შემდგომ მონიტორინგი. მეთოდოლოგიაში სრულადაა აღწერილი ის გზა, რომელიც სკოლამ უნდა გაიაროს ფილოსოფიის შექმნისათვის. წესის შესაბამისად, დირექტორმა ბრძანებით შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მოსწავლე და მშობელი. აღნიშნულმა ჯგუფმა, ჩაატარა სასკოლო

საზოგადოების გამოკითხვა - შეავსებინა კითხვარები მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს. გამოკითხვის საფუძველზე ჯგუფმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იყოს სკოლის მთავარი ღირებულება, პრიორიტეტი და რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სკოლამ განვითარებისთვის. აღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინება გარკვეულწილად ჩანს სკოლის მიერ შემუშავებულ მისიის პროექტშიც. მნიშვნელოვანია, სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით შემუშავდეს სკოლის ხედვაც. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.1.1.3-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მეთოდოლოგიის შესაბამისად გეგმავს სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი პროექტის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებას ღია შეხვედრებით, საჯარო განხილვებით პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოსთან, ელექტრონული ფოსტით, სოციალური გვერდითა და საინფორმაციო დაფით ინფორმაციის მიწოდებას დაინტერესებული მხარეებისთვის. ვინაიდან სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იყო სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კომპონენტი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სკოლას აქვს გაზიარების ინსტრუმენტები, რომლებსაც გამოიყენებს სასწავლო წლის დაწყებამდე და საბოლოოდ დამტკიცებულ დოკუმენტსაც გააზიარებს სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. 1.1.1.4-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა თვითშეფასებაში აღნიშნავს, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესის დასრულების შემდგომ სკოლა უზრუნველყოფს ახალი მისიის, ხედვისა და ღირებულებების სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებას, სკოლის საინფორმაციო სტენდზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკვრას. ამასთან სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი (<https://shorturl.at/0ibi5>) და აუცილებელია, რომ სკოლამ აღნიშნული ინფორმაციის განთავსება უზრუნველყოს ამ გვერდზეც. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.1.1.5-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისჯვარის საჯარო სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი 1.1.1.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისიის პროექტი;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
4. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრუქტურული დაგეგმვის მიზნით შემუშავებული კითხვარი; 5. ამონაწერი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებიდან;
6. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, ასევე, აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ფილოსოფიის, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში

სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას, რისთვისაც, სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი (დირექტორის ბრძანება N46, 11.04.2024).

აღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია:

- სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები;
- სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები;
- გზა/პროცესი, რომელსაც გადის დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმვის ერთი ციკლის პროცესში, მონიტორინგისა და შეფასების ჩათვლით.
- როგორ მიმოიხილავს არსებულ სიტუაციას სკოლა (მექანიზმები). სკოლას დაზუსტებული აქვს, რომ გამოიყენებს SWOT ანალიზის მეთოდს.
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის წესი;
- სტრატეგიის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები;
- სტრატეგიის პროექტისა და დამტკიცებული დოკუმენტის გაზიარების პროცედურები, უკუკავშირების მისაღებად.

ინდიკატორი 1.2.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის პროექტი. სკოლის მიერ შერჩეული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებულ SWOT ანალიზს, თუმცა იქიდან გამომდინარე რომ სკოლის მისიის პროექტს აკლია კონკრეტულობა, აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მჭიდრო კორელაცია მისიასთან არ დგინდება, თუმცა მისიის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, მოცემული სტრატეგიული მიზნები ნამდვილად შეუწყობს ხელს მის მიღწევას. სკოლას განსაზღვრული აქვს სამი სტრატეგიული მიზანი: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, არაფორმალური გარემოს შექმნა მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების

მექანიზმების შემუშავებითა და დანერგვით და ქართული ენის სწავლების გაძლიერება. აღნიშნული საკითხები აქცენტირებული იყო როგორც სასკოლო საზოგადოების გამოკითხვაში, ასევე SWOT ანალიზში როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. რაც შეეხება ამოცანების შესაბამისობას სტრატეგიულ მიზნებთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ჩანს, თუმცა რიგ შემთხვევაში ამოცანები არასაკმარისია სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ან ნაკლებად რელევანტურია. ამასთან, საჭიროა, სკოლამ ხედვაზე დაყრდნობით დააზუსტოს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და დოკუმენტი დაამტკიცოს. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.2.1.2-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს გასული წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, თუმცა მას არ აქვს კავშირი ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტთან. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე დაყრდნობით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის ფორმირებას. ასევე მეთოდოლოგია განსაზღვრავს რომ ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდგომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თვითშეფასების გაკეთებას SWOT ანალიზის მეთოდით. რაზე დაყრდნობითაც მოხდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სასწავლო გეგმის შემუშავება. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.2.1.3 - ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია მხოლოდ აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები. თუმცა ახლად დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში სკოლა მოიაზრებს, რომ 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იქნება სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 1.2.1.4 - ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი;
2. ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; 3. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
4. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
 2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე) ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ გეგმავს სკოლა სტრატეგიის შესრულების მონიტორინგს. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და

შეფასებას განახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის ასევე გამოყენებული იქნება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი, კერძოდ, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული ანგარიშების შესახებ, ხოლო ყოველი სამი წლის ბოლოს და ასევე შვიდი წლის შესრულებისთანავე, ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მონიტორინგის ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების / ამოცანის / აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“. **ინდიკატორი 1.2.2.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ვინაიდან სკოლის მეთოდოლოგიაში დეტალურადაა გაწერილი მონიტორინგის მექანიზმი და სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის მიღების გზები, შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა აღნიშნულის შესაბამისად განახორციელოს მონიტორინგის პროცესი. **ინდიკატორი 1.2.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიაზრებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განვითარების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გეგმავს სტრატეგიული გეგმისა და წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას შემდეგი გაზიარების არხებით: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა ან/და სოციალური ქსელი ან/და საჯარო განხილვა. **ინდიკატორი 1.2.2.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიაზრებს,, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სტრატეგიული გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ, ანგარიშების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების შემდგომ, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლამ შესაძლოა განახორციელოს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სტრატეგიული გეგმის ცვლილება. ინდიკატორი 1.2.2.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი;
2. ფილოსოფიის (მისიის,ხედვის,ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
3. 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
4. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რომელიც შედგება შემდეგი ერთეულებისაგან: კოლეგიალური სტრუქტურული ერთეულები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო); არაკოლეგიალური სტრუქტურული ერთეულები (დირექცია - დირექტორი, ბუღალტერი) და მასზე დაქვემდებარებული კადრები (მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი - ექიმი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, დარაჯი) და ადმინისტრაცია (საქმისმწარმოებელი). სკოლას დამტკიცებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციების ფუნქცია-მოვალეობები. შრომით ხელშეკრულებებში ასევე იკითხება თანამშრომელთა ვალდებულებები. სკოლას დაკისრებული აქვს დამრიგებლის ფუნქცია კონკრეტული კადრებისათვის. **ინდიკატორი 3.1.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა ნათლად ასახავს დასაქმებულ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებულ პრაქტიკას. პერსონალთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლის სტრუქტურის თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი მოვალეობები და აცნობიერებს საკუთარი საქმიანობის როლს

საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში. თანამშრომელთა გაწერილი ფუნქციები ნამდვილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ განხორციელებას. აღნიშნული დასტურდება კოლეგიალური ორგანოების შეხვედრებზე განხილული საკითხებითაც. **ინდიკატორი 3.1.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა;
2. საშტატო განრიგი;
3. თანამდებობრივი ინსტრუქცია;
4. თანამშრომელთა ხელშეკრულებები;
5. კოლეგიალური ორგანოების ოქმები;
6. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, სკოლის მიერ შემუშავებულ წესებს. თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები სკოლის მიერ განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი 3.1.2.1. - ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი კადრების მოზიდვა/შერჩევის პროცედურები. აღსაღნიშნავია, რომ სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რაიონში, შესაბამისად კადრების დეფიციტის მართვის მიზნით აქტიურად თანამშრომლობენ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, კერძოდ, სკოლაში დასაქმებული ჰყავთ მასწავლებლები „ასწავლე საქართველოს“ პროგრამიდან. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა შეცვლა/გაცდენის უწყისი, რომლითაც დასტურდება პერსონალის ინტერვენციული მართვა. სასურველია სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში პერსონალის ინტერვენციული მართვის მიზნით გაწეროს კონკრეტული თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში ვის მიერ მოხდება მისი ფუნქციების შესრულება. **ინდიკატორი 3.1.2.2--ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი კადრების მოზიდვა/შერჩევის პროცედურები. აღნიშნული პროცედურები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. მასწავლებლები შერჩეულები არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით. კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებგვერდზე www.teacherjobs.ge, სადაც განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაცია. საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან მოწვეული პირებით, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების მიღებისას დირექტორის ბრძანებით დგინდება კონკურსის ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, რომელშიც აუცილებლად შედის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელი. საკონკურსო კომისია განსაზღვრავს საკონკურსო პროგრამას და შეფასების კრიტერიუმებს. საჭიროების შემთხვევაში, პრეტენზიის არსებობისას, ნებისმიერ კონკურსთან დაკავშირებით, დირექტორის ბრძანებით შესაძლოა შეიქმნას საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს საჩივრებს კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე. საპრეტენზიო კომისია ხელმძღვანელობს კონკურსის ჩატარების წესით და ზოგადი კანონმდებლობით. თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის/სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიური განათლების პროგრამაში ჩართული სპეციალისტის) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება ასევე შესაძლებელია კონკურსის საფუძველზეც. **ინდიკატორი 3.1.2.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის პირადი საქმის განამოწმებით დასტურდება რომ თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი 3.1.2.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციის კულტურა ეფუძნება გუნდური, თანამშრომლობითი, მუშაობის პრინციპებს. სკოლაში იგრძნობა, რომ პერსონალი მუდმივად მზად არის თანამშრომლობისა და განვითარებისთვის. თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები უმეტესწილად ეფუძნება კომისიურ წესით შერჩევას, რითაც უზრუნველყოფილია პერსონალის მართვაში სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობა. პერსონალის განვითარების პროცესშიც აქტიურად მონაწილეობენ კოლეგიალური ორგანოები, რაც გუნდურობას განაპირობებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დირექტორი აქტიურად რთავს სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ინდიკატორი 3.1.2.5-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ წარმატებული გამოცდილებისა და აღიარების მიზნით სკოლაში ტარდება შეხვედრები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ სხვადასხვა ტრენინგზე მიღებულ გამოცდილებას. სკოლის სოციალურ გვერდზე სკოლა აქტიურად აზიარებს სკოლის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ წარმატებულ პროექტებსა და მიღწევებს. ასევე, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის თანამშრომელთა წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით

დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.
ინდიკატორი 3.1.2.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. თანამშრომელთა ხელშეკრულებები (მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები სტატუსების მიხედვით);
2. კონკურსის მასალები;
3. თანამდებობრივი ინსტრუქციები;
4. სკოლის შინაგანაწესი;
5. შეცვლა/გაცდენის უწყისი;
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
7. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალური მართვის დოკუმენტი განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ამოცანებს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინსტრუმენტებს, კერძოდ: პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებს, კათედრებს შორის გამოცდილების გაზიარებას და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ გაკვეთილებზე დაწყებას განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის მიზნით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც სპეციალურად შერჩეული დაკვირვების რუბრიკით აფასებს მასწავლებელთა გაკვეთილებს. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის მიერ მასწავლებლებისთვის მიცემული უკუკავშირის მტკიცებულებებიც. მასწავლებელთა გასაუბრებით, კათედრების ოქმებით დასტურდება, რომ პედაგოგები ერთმანეთს ხშირად უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ განვითარებაზე. „ასწავლე საქართველოს“ პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლები პროგრამის

- ფარგლებში ასევე ზრუნავენ კოლეგათა პროფესიულ განვითარებაზე. სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს არამარტო მასწავლებლების, არამედ სხვა პერსონალის პროფესიული განვითარების სტრუქტურირებული სისტემა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება პერსონალის პროფესიული საჭიროებების დადგენა მათი პროფესიული გეგმის შემუშავება და განხორციელება. **ინდიკატორი 3.2.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. მასწავლებლების შემთხვევაში, კოლეგების ურთიერთდასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირისა და თვითშეფასების საფუძველზე პედაგოგები გეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას, თუმცა ამას დოკუმენტური სახით არ აფორმებენ. სკოლა აორგანიზებს გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრებს, საჭიროებათა შესაბამისად, თანამშრომლები რეგისტრირდებიან შესაბამის ტრენინგებზე. **3.2.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლას აქვს მაძიებელი მასწავლებლის ყოლის გამოცდილება, რომელმაც ტუტორის დახმარებით წარმატებით გაიარა მასწავლებლობის მაძიებლობის პროგრამა და მიენიჭა უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ასევე ერთმა მასწავლებელმა გარე დაკვირვების გზით მოიპოვა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. სკოლა ინტენსიურად აწვდის სკოლის თანამშრომლებს ინფორმაციას განათლების სისტემაში გამოცხადებულ პროფესიული განვითარების ღონისძიებების შესახებ. **ინდიკატორი 3.2.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას: აცნობს სკოლის ორგანიზაციულ კულტურას, ათვალიერებინებს სკოლას, აცნობს და განუმარტავს შესასრულებელ ფუნქცია-მოვალეობებს, აწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე სასწავლო და საადმინისტრაციო პროცესების შესახებ, აცნობს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, ამატებს სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში და წარუდგენს სხვა თანამშრომლებს. ახალი მასწავლებლის ადაპტაციის პროცესში გარკვეულ ვალდებულებებს ასრულებს კათედრის თავმჯდომარე. **ინდიკატორი 3.2.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმი. სკოლის დირექცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლის თანამშრომლებს სიახლეებს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მასწავლებლების ინიციატივები ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერილია და ხელს უწყობენ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში. მაგალითად, ერთ-ერთი მასწავლებლის ინიციატივით განხორციელდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი კონფერენცია. მსგავსი ინიციატივების საფუძველზე განხორციელებული აქტივობების პოპულარიზაციასა და წახალისებას სკოლა ხელს უწყობს სკოლის სოციალური გვერდის დახმარებით. **ინდიკატორი 3.2.1.5**
ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი;
3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
5. კათედრის ოქმი ურთიერთდასწრებასთან დაკავშირებით;
6. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
7. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის თანახმადაც, სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების წინასწარ დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული აქტივობების



მონიტორინგსა და პროცესების განვითარებას. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომ გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესების საკითხებს. ხარისხის შიდა შეფასების სისტემა მოიცავს დემინგის ციკლს. ბრძანებით შექმნილია სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფიც. **ინდიკატორი 3.3.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- სკოლას გააზრებული აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობით პროცესი უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა). ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასკოლო კურიკულუმის განხორციელება, სასწავლო პროცესის მართვა და ა.შ. სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. სკოლაში დამხმარე პროცესებად ითვლება: საქმისწარმოება, ფინანსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, მატერიალური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და ა.შ. **ინდიკატორი 3.3.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის ყველა თანამშრომლებს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის, სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეებისათვის საჩივრის წარდგენის ინსტრუქცია. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. საჩივრების განხილვის წესი, ასევე, რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით. სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. **ინდიკატორი 3.3.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებითა და სკოლის ყველა რესურსით. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ



ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით, დირექციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა დისციპლინურ გადაცდომებს იხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სკოლის დირექტორს შესაბამისი რეაგირებისთვის. სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების წესი. ინდიკატორი 3.3.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. სკოლის შინაგანაწესი;
3. საჩივრის წარდგენის ინსტრუქციები;
4. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
5. ბრძანება სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ.
6. დისციპლინური კომიტეტის, მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
7. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. სკოლა ქმნის თანამშრომლობით გარემოს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობას. დამრიგებლების საქმიანობით დასტურდება, რომ ისინი აქტიურად აწყობენ შეხვედრებს მშობლებთან როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე სასწავლო წლის განმავლობაში და აწვდიან ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი თუ განხორციელებული პროცესების შესახებ.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკასთან, მის ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გასავრცელებლად, სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. სკოლას, ასევე, აქვს საკუთარი სოციალური გვერდი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. სკოლის შინაგანაწესში, ასევე, განსაზღვრულია სკოლაში მიღების საათები, შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია შეხვდეს სკოლის ადმინისტრაციას/დირექციას და განიხილოს მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. **ინდიკატორი 3.3.2.1. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში აქტიური ჩართულობის კუთხით აღსანიშნავია, რომ სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობის შესაბამისად და არის წარმომადგენლობითი. კოლეგიალური ორგანოების ოქმებით დასტურდება მშობლებისა და მოსწავლეების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. დირექცია ზეპირი გასაუბრების დროს აღნიშნავს, რომ შედარებით ნაკლები აქტიურობით ხასიათდება მოსწავლეთა თვითმმართველობა, რადგან ნაკლებად იჩენენ ინიციატივებს სასკოლო ცხოვრებაში ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასურველია სკოლამ აქტიურად გამოიყენოს მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა მოტივირების სტრატეგიები, მათი სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით. **ინდიკატორი 3.3.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
2. მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია;
3. კათედრის მუშაობის დებულება;
4. კოლეგიალური ორგანოების საქმიანობის ამსახველი ოქმები;
5. დამრიგებლების პორტფოლიოები;
6. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების

შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა ანალიზი:

1. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით. სკოლას არ ჰყავს მანდატური. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. კერძოდ, შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 4, ხოლო გარე პერიმეტრზე 6 კამერა. სკოლას დამტკიცებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია და განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას შემუშავებული აქვს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და აღნიშნული გეგმა შესათანხმებლად წარდგენილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებითაც და მიიღო დასკვნა, რომლის შესაბამისადაც სკოლას სახანძრო უსაფრთხოების კუთხით განსახორციელებელი აქვს მთელი რიგი ღონისძიებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია, რომ სკოლამ შეიმუშაოს განხორციელების გეგმა, რათა

დროულად უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა. სკოლას აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ინდიკატორი 3.4.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს “საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის” შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლას დამტკიცებული აქვს “სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი”. ინდიკატორი 3.4.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
3. შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა, დისციპლინური წარმოების ფარგლებში, ახორციელებს შესაბამის ინტერვენციულ ღონისძიებებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებსა და მათ მიერ შეთავაზებული გადაწყვეტის გზებს. მიღებული ინფორმაციებზე დაყრდნობით შეიმუშავენს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და სხვა. ასევე, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ინდიკატორი 3.4.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო. სკოლას აქვს პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდების მექანიზმი. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც დამრიგებელი ასაკის შესაბამისად მუშაობს ბულინგისა და მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების მიმართულებით. ინდიკატორი 3.4.1.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქმებულია 1 დამლაგებელი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად. სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას და აწვდის რეკომენდაციებს სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს. ვიზუალური დათვალიერებით დასტუდება სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილება სკოლის მიერ. **ინდიკატორი 3.4.1.5-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის თანამშრომლების მხრიდან მუშავდება სხვადასხვა სახის პერსონალური მონაცემები. კერძოდ, მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციას და სხვა. სკოლამ შეიმუშავა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული წესი არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ძირითად პრინციპებს, პროცედურებსა და სხვადასხვა პირების უფლებამოვალეობებს. გარდა აღნიშნულისა, სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, როგორც მოსწავლის მშობლებთან, ასევე, დასაქმებულებთან ითვალისწინებს შესაბამის მუხლს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფვრას. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. **ინდიკატორი 3.4.1.6-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
7. სკოლამ შეიმუშავა “პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები”, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები: განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე. სკოლას აქვს არქივი, რომელიც განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. ვინაიდან ბიბლიოთეკარის ფუნქციას ითავსებს საქმისმწარმოებელი და არქივზე პასუხისმგებელიც აღნიშნული პირია. სასურველია, სკოლამ არქივში არსებული მონაცემების მეტი უსაფრთხოებისთვის

უზრუნველყოს არქივის ცალკე სივრცეში განთავსება ან კარადების აღჭურვა საკეტებით. **ინდიკატორი 3.4.1.7-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ ითვალისწინებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. მნიშვნელოვანია, სკოლამ ხარისხის მართვის ციკლის შესაბამისად უზრუნველყოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობების პერიოდული მონიტორინგი და შეფასება. ამ ეტაპზე სკოლა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით აწარმოებს მონიტორინგს და საჭიროებისამებრ შეაქვს ცვლილებები თავის საქმიანობაში. **ინდიკატორი 3.4.1.7-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
2. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება;
3. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
4. ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის ბრძანება;
5. უსაფრთხოების პოლიტიკა;
6. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დასკვნა;
7. შინაგანაწესი;
8. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
9. ექთნის ხელშეკრულება;
10. დამრიგებლების პორტფოლიოები;
11. პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
12. სკოლის მიმართვა შენობის მდგრადობის ექსპერტიზასთან დაკავშირებით.
13. ვიზუალური დათვალიერება;
14. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სარგებლობაში აქვს 3763 კვ.მ. და მასზე განთავსებული 1 შენობა-ნაგებობა. სკოლაში არის 11 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით. ასევე, საკლასო ოთახებში სკოლას განთავსებული აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. გარდა აღნიშნულისა, სკოლის კორპუსში არის დირექციის, კანცელარიის, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, მუსიკისა და ხელოვნების კაბინეტი, რესურს ოთახი. თითოეული ოთახი აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს. სკოლაში დაცულია დაახლოებით 2000 ერთეული წიგნადი ფონდი. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის მიერ ავტორიზაცია მოთხოვნილია 200 მოსწავლეზე, თუმცა სკოლის ბალანსზე ამ ეტაპზე ირიცხება 53 მაგიდისა და მერხის კომპლექტი. შესაბამისად, სკოლაში არსებული ინვენტარი შეიძლება გათვალისწინებული იყოს 53 მოსწავლეზე. **ინდიკატორი 3.5.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცდა სკოლის ბიბლიოთეკით და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი. თუმცა, სკოლის საქმისმამრობელს დაკისრებული აქვს აღნიშნული ფუნქცია და ის ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. სკოლაში არსებული საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სსსმ მოსწავლე სარგებლობს რესურსოთახით, საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით. **ინდიკატორი 3.5.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ბეჭდვითი გამოცემები, მხატვრული, შემეცნებითი და სხვა სახის ლიტერატურული და საინფორმაციო მასალები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სკოლის თანამშრომელთა განვითარებას, მატერიალური ლიტერატურითა და ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფის გზით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო

რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესებს. წინამდებარე დოკუმენტში გაწერილია, თუ ვის შეუძლია ბიბლიოთეკით სარგებლობა, ასევე, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, როგორ ხდება საბიბლიოთეკო დოკუმენტის (რესურსის) გატანა-დაბრუნება, რა შედეგები მოჰყვება საბიბლიოთეკო დოკუმენტის დაზიანებას ან/და დაუბრუნებლობას და სხვა. შესაბამისი შტატის არარსებობის გამო, ბიბლიოთეკარის ფუნქციას ითავსებს სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი 3.5.1.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის მატერიალური ბაზით. სკოლა ცდილობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას კომფორტული სასწავლო გარემო და უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობა. სკოლაში არ არის შექმნილი ადაპტირებული გარემო. სკოლა გეგმავს ცენტრალურ შესასვლელ კიბეზე ამწებაქანის დამონტაჟებას. ასევე, სკოლას არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, თუმცა აქვს რესურსთაბი, რომელიც სრულადაა აღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და რესურსით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს გარემოს ადაპტირება, რათა ჰქონდეს მზაობა მსგავსი მოსწავლის მისაღებად. აღნიშნული საკითხი სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. **ინდიკატორი 3.5.1.4-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოცო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დიდი ეზო, რომელიც გამწვანებულია და წარმოადგენს ბავშვების, მშობლებისა და თანამშრომლების შეკრების ადგილს. შესაძლებელია მომავალში აღნიშნული ტერიტორიისთვის სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მინიჭება. ეზოში ხშირად ტარდება სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებები, ზეიმები, შეჯიბრებები და სხვა, რომლებსაც ესწრებიან, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე, თემის წარმომადგენლები. სკოლა ასრულებს სოფლის თემისთვის მნიშვნელოვანი სოციოკულტურული ცენტრის ფუნქციას, რომელშიც თემის წევრებს აქვთ საშუალება ერთმანეთთან კომუნიკაციით მიიღონ მონაწილეობა საგანმანათლებლო ღონისძიებებში. **ინდიკატორი 3.5.1.5-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ბიბლიოთეკის დებულება;
3. მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

4. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრება.
5. ვიზუალური დათვალიერება;
6. სკოლის მატერიალური რესურსის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერი როგორც ისტ-ის ოთახისთვის, ასევე დირექციისა და კანცელარიის ოთახებში განსათავსებლად. სკოლას აქვს 2 პრინტერი/ქსეროქსი, 5 პროექტორი. მასწავლებლები მათთვის გადაცემული ლეპტოპებით სარგებლობენ სასწავლო პროცესში. კომპიუტერული ლაბორატორიაში ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის მეშვეობითაც მშობელს ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს თავისი შვილის აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია. სკოლის კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან გამოყოფილი სპეციალისტი. სკოლაში არის გამართული ინტერნეტკაფე, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი 3.6.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის კომპიუტერები და ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტით იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე და ა.შ. **ინდიკატორი 3.6.1.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი და მისი დამტკიცების ბრძანება;

2. ვიზუალური დათვალიერება;
3. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრება.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - საქმისმწარმოებელი. ის საკუთარი მომხმარებლის სახელითა და პაროლით ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ინდიკატორი 3.6.2.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



2. სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow - მეშვეობით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, eFlow-ს სისტემასთან კოორდინაციით. eSchool-ის ბაზაში, ასევე, შეყვანილია ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ, მასშივე ხდება წევრების ცვლილების რეგისტრაცია, საშტატო განრიგის პროექტის შეთანხმება. აგრეთვე, ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა Tsikhisjvari@mes.gov.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი საკუთარი ელექტრონული ფოსტა და ინდივიდუალური მომხმარებლის გვერდი eFlow-ს ელექტრონულ სისტემაში, საიდანაც მათ აქვთ შესაძლებლობა სკოლის დირექციას მიმართონ სამსახურეობრივი ბარათებით და განცხადებებით. სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში <http://procurement.gov.ge>, სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. **ინდიკატორი 3.6.2.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი 3.6.2.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. კერძოდ, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვებისა თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს და საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში სკოლა ყოველწიურად წარადგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს

სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. სკოლის ბუღალტერი უზრუნველყოფს ბალანსების წარდგენას სამინისტროსთვის. ინდიკატორი 3.6.2.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
3. 10 დეკემბრის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და შესაბამისი წერილები;
4. სკოლის EFLOW-სა და ESCHOOL-ის სისტემები.
5. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც ათავსებს მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტები, კონკურსები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ოლიმპიადები და სხვა) შესახებ ინფორმაცია. ასევე, ნებისმიერი სხვა სიახლე ზიარდება სასკოლო საზოგადოებისათვის. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელთანაც წვდომა აქვს მოსწავლესა და მშობელს. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც. სოციალური ქსელის მართვას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნულ სივრცეში სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე. **ინდიკატორი 3.6.3.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის სანდო. ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით (მშობელთა თანხმობით), ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი 3.6.3.2-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას აქვს მზაობა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები, სურვილები და ინიციატივები საქმიანობის პროცესში. პირად თუ სამუშაო შეხვედრებში სკოლის დირექციას მუდმივად მიეწოდება თემისა და მასწავლებლების მოლოდინების, სურვილების შესახებ ინფორმაცია. სკოლა გეგმავს, გააძლიეროს კომუნიკაცია და საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევის მიზნით 2024-2025 სასწავლო წლიდან დაამკვიდროს სასკოლო საზოგადოების

ელექტრონული გამოკითხვის მექანიზმი, რათა კონკრეტული მოსაზრებების საფუძველზე გამოვლინდეს სკოლის ეფექტური საქმიანობისათვის აუცილებელი საჭიროებები. **ინდიკატორი 3.6.3.3-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი. **ინდიკატორი 3.6.3.4-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი აქვს ვებ-გვერდი. მასზე ამ ეტაპზე არ არის განთავსებული სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ამ მიზნით სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, საინფორმაციო დაფას და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალ შეხვედრებს. ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვის საკითხი სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის გეგმით. **ინდიკატორი 3.6.3.5-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სოციალური ქსელი;
2. სკოლის ვებ-გვერდი;
3. სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს, წინა წლის გამოცდილებას და საბიუჯეტო კალენდარს. სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტიდან ვაუჩერული დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და კომუნალურ ხარჯებს. თუმცა, სკოლას აქვს ფინანსური შესაძლებლობა, რომ შეასრულოს სამოქმედო გეგმით დასახული აქტივობები. **ინდიკატორი 3.7.1.1-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
